სადოქტორო პროგრამის დასახელება: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის დოქტორი (PhD in Economics)
პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **მიზანი:**

ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე სოციალურ-დემოგრაფიული სფეროების ადმინისტრირება წარმოუდგენელია შესაბამისი სახის უტყუარი, საიმედო და მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის გარეშე. სწორედ ასეთი ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და ანალიზს ემსახურება თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა. ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების რაოდენობრივი გაზომვის, შეფასებისა და პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდები ნებისმიერი პროფილის კვალიფიციური ეკონომისტის, განსაკუთრებით კი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ქვაკუთხედს შეადგენს. პროგრამის მიზანია საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის აღზრდა და მომზადება.

- **<u>შედეგი:</u>**

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის დოქტორის ხარისხი ენიჭება პირს, რომელსაც:

- გააჩნია მაგისტრატურაში მიღებულ განათლებაზე დაფუძნებული და გაღრმავებული ცოდნა ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში, რაც უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების ან გამოყენების შესაძლებლობებს;
- შეუძლია ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ახალ ან სრულიად უცხო გარემოში;

- გააჩნია ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლია თავი გაართვას სიძნელეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიცაა ასახული;
- შეუძლია თავისი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, ნებისმიერ დონეზე;
- გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას აძლევს უშუალოდ თვითონ ან მისი ხელმძღვანელობით განხორციელდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კვლევა.

- <u>**დასაქმების სფეროები:**</u>

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის დოქტორს შეუძლია იმუშაოს უნივერსიტეტებში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და კოლეჯებში ნებისმიერ აკადემიურ თანამდებობაზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე ნებისმიერი სამინისტროს და სახელმწიფო უწყების ეკონომიკურ-სტატისტიკურ ორგანოებში, ბანკებში და სხვ.

- <u>**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**</u>

პროგრამაზე მიღების პირობები განსაზღვრულია 2009 წლის 2 თებერვლის თსუ აკადემიური საბჭოს № 171 დადგენილების "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ" შესაბამისად და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით. მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და /ან აპრობაცია ჰქონდეს გავლილი.